



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 3 ივნისი

დისციპლინური საქმე №38/21
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური
სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 7 აპრილის №38 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 14 აპრილის 126/38-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, გადაწყვეტილება გამოცხადდა 2020 წლის 20 იანვარს, გასულია უკვე 14 თვეზე მეტი და დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერაც არ ჩაბარებია.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 19 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - - - - წევრების -- -- , - - -, - - -, - - -, - - -, - - - და -- -- მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლო სხდომები გაიმართა 24.02.2015; 20.10.2016; 21.03.2017; 23.05.2017; 16.06.2017; 11.07.2017; 25.07.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე -- -- წევრებს - - - -, - - -, - - -, - - - და -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ -- აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელის მოთხოვნებს დანარჩენ ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 27 სექტემბერს -- - დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 სექტემბრის გაჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული (მოსამართლე - - - -).

2017 წლის 29 ნოემბერს მოწინააღმდეგე მხარეებმა სააპელაციო შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში.

2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით --- წევრების ---, ---, ---, --- და --- სააპელაციო საჩივარი --- სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ -- აშშ დოლარი დარჩა განუხილველად; --- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 20 დეკემბერს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 06.06.2019; 20.06.2019; 11.07.2019; 21.11.2019; 05.12.2019; 19.12.2019; 20.01.2020 წწ პერიოდებში.

2020 წლის 20 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

2020 წლის 18 თებერვალს და 19 თებერვალს მხარეებმა მიმართეს სასამართლოს დასაბუთებული განჩინების ჩაბარების მოთხოვნით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 7 აპრილის №38 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2022 წლის 6 მარტიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2021 წლის 7 აპრილის №38 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის --- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი